



№15
1938

ნიანბი

ფასი 60.
გერმანული
ბიბლიოთეკა



გამოცდების წინ... მიმღები კომისიის წევრის მოლოდინში,
— ვაი თუ ამოდენმა პურმარტმა ფუკად ჩავვიაროს...

ნახ. ს. ნადარეიშვილისა.

„მოკიკოს შენი ჭიჭიკო“



ქიჭიკო კურკანტელაძემ საშუალო რომ „მოახრჩო“ წელში გასწორდა, უღვაშები დაიგრიხა და ნაპოლეონის პოზაში თბილისისაკენ შედიდურათ გახედა.

შინ რომ დაბრუნდა მთელი ოჯახი აახმაურა:

— არიქა დედაჩემო! მივედივარ. აი ხომ ხედავ მივემგზავრები. შორი გზა მექნება, მიშველე, საგზალ-საბადებელი თან უნდა მქონდეს. დახოციე გოჭები და ქათმები. მომიმზადე ხაჭაპურები, ხომ იცი დედაჩემო „მაყარიჩი“ იქნება საჭირო და სხვა ამისთანები.

— შემოგველოს დედაშენი! შენ კაცი გამოდი შვილო და მთელს ოჯახს თან გაგაყოლებ!—მიუგო დედამ და საქმეს შეუდგა.

დაბრიალდა თითონ ქიჭიკოც. იშოვნა ერთი ვეებერთელა ქოლოცი, დაედგინა ქათმებს და ღვინო გააცალა. საცოდავი გოჭებიც აღარ დაინდო. მეზობლები გარეთ გამოცვივდნენ და შეშინებულნი გასქეროდნენ კურკანტელაძეების სახლისაკენ, ქათმების გაუთავებელი კრიახი, გოჭების ჭყვირღილი და ძაღლების მოხშირებული ყეფა რომ მოესმათ. ეს ყველაფერი ერთმანეთში იყო არეული და რაღაც შემადრწუნებელ შთაბეჭდილებას სტოვებდა.

— რა მოხდა ნეტავი, ამ შუადღეზე მეელი ხომ არ მიუხტა კურკანტელაძეებს?!

— შესაძლოა ცოფიანი ძაღლი მიუხტა.

— ცეცხლი რომ წაჰკიდებოდათ ქე შევამჩნევდით.

კამათობდნენ მეზობლები, მაგრამ ახლო მისვლა კიდევ ვერ გადაწყვიტათ. ქიჭიკომ სამი გოჭი რომ წამოაქცია და ათამდე ქათამიც რომ ზედ წააკლა, დედამისმა კივილი ასტეხა და ახარტში შესულ შვილს ხელში ეცა, შეჩერება უნდოდა.

— გეყოფა შვილო, მთლად ხომ არ უნდა დაანგრეო ოჯახი, შეჩერდი ქიჭიკო!

ქიჭიკოს ერთხანს კიდევ არაფერი ესმოდა, დაწყებულ საქმეს მდებრად განაგრძობდა, მაგრამ როცა მისი უმცროსი ძმა წელში ეტაკა და აქეთკენ გამოქცეულ მეზობლებსაც, თვალი რომ შეასწრო გონზე მოვიდა, სული მოიბრუნა და „ბრძოლა“ შეაჩერა...

როგორც იყო ორხურჯინ გამოტენილი ქიჭიკო გზას გაუყენეს თბილისისაკენ.

რკინიგზის სადგურამდე მიაცილოს იგი მშობლებმა.

— შენ იცი შვილო, შენ იცი შენი ჭიჭიკო—უთხრა დედამ

— დავჩუმდები, მაგრამ... მეტი ვეღარ ვაბედა უმცროსმა და ხმა გაიკმია.

თბილისში ქიჭიკო მკერდგახსნილი დადიოდა ქუჩაში და ოფლს იწურავდა.

ლიტერატურულ ფაკულტეტზე ისურვა შესვლა. ეგონა პოეტი გამოვალო, ხოლო ეს უკანასკნელი ხელობა ყველაზე სასურველ საქმედ მიაჩნდა მას, ვინ იცის ეს ალბად იმიტომ, რომ ერთხელ თავის სოფელში ჩამოსულ მოხეტიალე პოეტს მოუსმინა, რომელიც ლექსებს სიმღერით ამბობდა, ხოლო სიმღერა ქიჭიკოს ძლიერ მოსწონდა (მით უფრო თუ ის ლექსად იქნებოდა დამღერებული).

ქიჭიკომ იცოდა თუ რომელ საგანში იყო ის ყველაზე „ქლიერი“. ამიტომაც ქალაქში ჩამოსვლისთანავე ერთი ხურჯინი ძღვენით



შვილს და გრძნობით გამოეთხოვა.

— მოგიკვდეს შენი ქიჭიკო!—გულგამაგრებით მიუგო ქიჭიკომ და მატარებლის ვაგონს მოახტა.

როცა უკან დაბრუნდნენ გზაში დედამ ტირილი დაიწყო:

— რაღა მეშველება, როდის ვნახავ ქიჭიკოს, ვინ იცის ეგებ მთლად დაგვივიწყოს.

— ნუ შიშობ დედა!—მიუგო დედას უმცროსმა შვილმა,—ქიჭიკო ხუთმეტ დღეში აქვე იქნება!

— რას ამბობ შვილო!—გაიკვირვა უეცრად დედამ—ხუთმეტ დღეში რა უნდა რომ ჩამოვიდეს!

— საშუალო აქ ძლივს „მოახრჩო“ და იქ ვინ მიიღებს.

— დაჩუმდი შვილო. აღარ ვაბედა—გაჯავრებით მიაძახა დედამ და თვალეში ცრემლი გაუშრა.

მიაკითხა რუსული ენის მასწავლებელს, ბინაზე. კარზე რომ მიაკაკუნა თავისუფლად ამოისუნთქა, იფიქრა:

„ახლა კი რუსული ენის საკითხმა მოგჭამოს ჭირი, ფრიადს წინ რა უდგას?“

კარი, რომ გაიღო შიგნიდან ვიღაც ახალგაზრდა გოგონამ გამოჰყო თავი:

— რა გნებათ?—შეეკითხა კარებთან გაჯგიმულ ქიჭიკოს და თვალი მოჭუტა.

— სოფლიდან ჩამოვედი ბატონო. გვარად ქიჭიკო კურკანტელაძე ვახლავართ,—თავმომწონედ მიუგო ქიჭიკომ და უღვაშები გადაიგრიხა—თქვენთან მოსაკითხი ჩამოვიტანე. გოჭი, ქათამი ხაჭაპურები და...

— მოიცათ,—შეაწყვეტინა ქიჭიკოს თმხუჭუტა გოგონამ და კარი მოხურა.

„კარგი ნიშანია“ იფიქრა ქიჭიკომ და დინჯად ჩაახველა. წუთიც არ გასულა, ახლა კარის მაგიერ შუშბანდის ფანჯარა გაიღო და იმავე გოგონამ მკვანედ გამოსძახა ქიჭიკოს:

— მოგახსენებენ, ამ სიქეში სოფლიდან ჩამოტანილ გოჭსა და ქათმებს სუნი ექნება და ვერ მივიღებო!

ეს სთქვა და ფანჯარა მაგრად მოკეტა.

გულშეწუხებულ ქიჭიკოს ვერაფერი გავგო თუ რატომ ასე სასტიკად მოექცენ მას. ცოტახანს კიდევ იტრიალა კარებთან, იგრიხა ზევით აპრენილი, პატარა უღვაშები. ბოლოს თავისი ხურჯინი ზურგზე მოიგდო და გზას გაუდგა.

რამდენიმე დღის განმავლობაში „ჩააბარა“ რამდენიმე საგანი. ბევრში ცუდი, მაგრამ ზოგში საშუალოც კი მიიღო ქიჭიკომ.

რუსული ენა ბოლოსათვის შემოინახა.

ერთ მშვენიერ დღეს როგორც იყო, გაბედა ქიჭიკომ და ამ საგანში გამოცდაზე გავიდა. მასწავლებელმა სათვალეების შემოღონ გახედა ტანმოსულ ქიჭიკოს და ცოტაოდენი ღუმილის შემდეგ გვარი და სახელი ჰკითხა.



სახელგამი და სახელ-
მკლვანელო

მე ვარ და ჩემი ნაბადი
გამთენებელი ღამისა,
სახელმძღვანელო წიგნები
ვერსად ვიშოვო ღამისა,
ყოველ წელიწადს მოწმე ვარ
უთავბოლოობის ამისა:
ვხდები ბუკინისტო შემყურე
მე, გერი სახელგამისა.

ერთი შპარგალკა

ერთი შპარგალკა სჩიოდა:
ეს რა ყისმათი შემხვდაო,
გამოცდა მე ჩავაბარე,
პეტრე კი ვასტუდენტდაო,—
— ეგ რაა,—უთხრა მეორემ,—
მე უარესი შემხვდაო;
ფრიადოსანმა შემკაზმა,
სუსტოსანი კი—შემჯდაო.

ცხრა სუსტი, ცხრა საშუალო

ღამაზმა გოგომ გამოცდას
რომ ვერა გაუგო რაო,
დამომცდელ №№-ს ეშმაკურ
ღიმილი გაუგორაო.
მერე სთქვეს პროტექციამა
გოგოს ნუგეში კი სცაო:
ცხრა სუსტა, ცხრა საშუალოს
ფრიადის წონა მისცაო.

მედინსტიტუტის კარებთან

მედინსტიტუტის კარებთან
ღამაზი ქალი სტიროდა:
„თუ კურსზე არ ჩამრიცხავდნენ
ფრიადი რაღას მჭიროდა?“
მიზეზი ვკითხე, მომიგეს:
— ეს იმის გამო ხდებოა—
ბიჭი ისწავლის ბოლომდის
გოგო კი—გათხოვდებოა.

შინ იღვას სტიკენდიასა

იოთამ მზუთხავეიშვილი,
ეშვილა პროტექციასა,—
კალთის ქვეშ ამოეფარა
ერთ „ფაკულტეტის ძიასა“:
ინსტიტუტს არც კი ნახულობს,
შინ იღვას სტიკენდიასა.

მოკუსულო

რუსულ ფაკულტეტს ამთავრებს
ეს გოგო წითელქუდაო,
სულ „თეთრ რუსულით“ აივსო
თავისი ცოდნის გუდაო,
„მზე ამოვიდა“ ის სთარგმნის:
„ლუნა პრიხალ სუდაო“.

ერთი შვილი

ერთი შვილი გამოეზარდე.
(იმის მეტი არა მყავრა),
შვიდწლელი და ტექნიკუმი
„სხაპა-სხუპით“ დაამთავრა,
მერე... ანბანის სასწავლად
ლიცკოლაში ვაემგზავრა.

ფარსადანი.

— ჩემი ბატონო? ჩემი ჭიჭიკო კურკანტელაძე ვახლავს ბატონო!—
რიხიანად მიუგო ჭიჭიკომ.

— ჭიჭიკო კურკანტელაძე,—რაღაც ვაგრძელებულად გაიმეორა
მასწავლებელმა—თქვენ ის ჭიჭიკო ბრძანდებით ბინაზე რომ მე-
სტუმრეთ არა?

— დიას ბატონო!—რიხიანად მიუგო ჭიჭიკომ.

— მაშ კარგი!—თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა მასწავლებელმა,
—თქვენ მაშინ ჩემთან გოჭი, ქათამი და ხაჭაპური მოგიტანით,
სცადეთ და ახლა რუსულად მითარგმნეთ მათი სახელები.
რატომ ჩაფიქრდით? სთქვით როგორ იქნება რუსულად გოჭი, ქათამი
და ხაჭაპური?

ჭიჭიკოს ფერი მოემატა სახეზე. ჩაფიქრდა, ენა დაება. ბოლოს
გაჭივრებამ ბედნიერი აზრი დაუბადა.—იფიქრა: „რითი განსხვავდება
ქართული რუსულისაგან?“ მოაგონდა, რომ სიტყვა „ტელეფონი“
რუსულად არის „ტელეფონ“, მაშასადამე საკმარისია ქართულ
სიტყვას ბოლოს ასო „ი“ მოვაშოროთ და რუსული გამოვიგო და
რიხიანად დაიწყო:

— გოჭი ბატონო იქნება გოჭი. ქათამი ქათამი, ხაჭაპური ხაჭაპური!
ხომ სწორია ბატონო!

მასწავლებელმა სიცილი ძლივს შეიკავა და ისევ შეეკითხა:

— კარგი და პატიოსანი, მაგრამ ახლა ერთიც მითხარით და ამით
გავთავოთ. რა ჰქვია პურს, ჰო, რომელსაც შენ სჭამ, პურს რაღა
ჰქვია რუსულად?

— არა ბატონო მე პურს არა ვჭამ. მე მჭადს ვჭამ ბატონო!

— ჰო, კარგი და მჭადი მაინც როგორ იქნება?

— მჭად, ბატონო!

— თავისუფალი ხართ!—მოუგო მასწავლებელმა. მატრიკულში
რაღაც დაუწერა და გარეთ გამოუშვა.

ჭიჭიკო მეტისმეტად გახარებული გავიდა გარეთ, ისე, რომ
მატრიკულში არც კი ჩაუხედავს:

— ფრიადია. ფრიადია—ჰყვიროდა ხმამაღლა, მაგრამ როცა

მატრიკულს დახედა და ნოლი ნახა, მიბრუნდა, იმავე კარებს ვეფხვივით
დაეტაკა და მასწავლებელს ასე მიადახა:

— შეცდომას ბატონო! ფრიადის მაგიერ ნოლი სწერია!

... სხვა გზა არ იყო. მართლაც რამდენიმე დღის შემდეგ ისევ
დაუბრუნდა ჭიჭიკო თავის სოფელს, მოვიდა სახლში და გულწა-
სული დედა ასე ანუგეშა:



— მოგიკვდეს ჭიჭიკო! კი გამაჯავრეს, მაგრამ უტირებ ყოფას
ვაფუკაობაში ვერავინ მაჯობებს!

სთქვა და მალლა აპრეხილი უღვაშები კვლავ მედიდურად
გადაიგრიხა.



ს ა ს ა დ ი ლ ო შ ი

— უნდა გავისროლო, იქნებ მომტანმა ყურადღება მომაქციოს

ილო კეთილადემ ღიმილით შეალო საგამოცდო ოთახის კარები და ფრთხილად გაჩერდა პროფესორის წინ.

პროფესორი ღიმილით შეეკითხა ახალგაზრდას: — თქვენი სახელი და გვარი? — ილო კეთილადემ.—იყო მოკრძალებული პასუხი.

—რას გვეტყვი „ვეფხის ტყაოსნის“ შესახებ?

— „ვეფხის ტყაოსანი“ დაწერა შოთა რუსთაველმა.

— პავლე ინგოროყვას შეხედულების შესახებ რას იტყვი „ვეფხის ტყაოსანზე“?

— ინგოროყვა? არ ვიცი?

— იქნებ კეკელიძის შეხედულებას იცნობ?

— არა... — ჭიჭინაძისა?

— არა... — მარისას?

— მარის? როგორ არა, მარი საერთოდ კარგი შეხედულებისაა ვეფხის ტყაოსანზე..

პროფესორმა სუსტი დაუწერა კეთილადემს ილო დაღონებული გამოვიდა გარედ და დერეფანში დასეირნობდა.

მის წინ ორი ქალიშვილი გაჩერდა და კითხვები დააყარეს.

— რა გკითხათ? — ძნელი კითხვები მოგცათ?..

— ჩვენც აქ ვაბარებთ,—თქვა უცნობმა ქალიშვილმა,—მი ქეთო მქვია...

— მეც აქ მინდა მოვეწყო, ჩემი სახელია მარი!—სთქვა მეორემ და ილოს ხელი გაუწოდეს.

— ბოდიში თქვენ, მარი? რა შეხედულების ხართ ვეფხის ტყაოსანზე?

— მე?— თქვა ახალგაზრდა მარიმ—მე საერთოდ კარგი შეხედულების ვარ ვეფხის ტყაოსანზე..

— მეც ასე ვუთხარი, მაგრამ სუსტი დამიწერა.. არსად არაფერი გამოდის, ყველგან პროტიქციაა საჭირო...—თქვა ილომ. ახალგაზრდა მარიმ მუქი სახით დატოვა და გზას გაუდგა.

6. უ რ ა უ შ ა ქ ი

ო თ ხ ი „ გ ე ო “

ეს ნამდვილი გადატრიალებაა გორგომიჭელას ცხოვრებაში. ყველაფერი თითქმის უცბად მოხდა: მიიღო ატესტატი და განცხადება შეიტანა უნივერსიტეტში გამოცდაზე დაშვების შესახებ. დაუშვეს. ახლა უკვე ზის—საგამოცდო ფურცლით ხელში და აუდიტორიას ათვალეირებს. ათვალეირებს და ფიქრობს, რომ აქ მგონი აღარ გავა ის „ნომრები“ რაც ათწლებში ვადიოდა, ესე იგი აქ ინდივიდუალურად ჰკითხავენ, შეამოწმებენ, მაშასადამე თვით გორგომიჭელამ უნდა მიუგოს და ჩააბაროს თავისი საგანი.

— ეს, რაც, იყოს, იყოს, ვინამ რაცხას. ოღონდ საჭიროა თავი ისე დავიკავო, რომ ვითამ ყველაფერი წყალივით ვიცი.

გამომცდელმა პროფესორმა ფიქრი გააწყვეტინა:

— დამისახელეთ გეოგრაფია, როგორც მცნება საერთოდ.

— როგორც რაი?—განგებ შეეკითხა გორგომიჭელა, რომ დრო მოეგო და მიცემულ კითხვაზე რაიმე პასუხი მოემზადებინა.

— როგორც მცნება.

— ესე იგი, „ტო-ესტ“ როგორც საკითხის სოციალური მხარე არა?

— ასე იყოს,—განცვიფრებული ღიმილით მიუგო პროფესორმა.

— სიტყვა გეოგრაფია უნდა დაიყოს ორ დამოუკიდებელ ერთეულად: „გეო“ და „გრაფია“. აქედან პირველი არის სახელი არსებითი, მეორე სოციალური მომენტი—წოდება—ესე იგი „გრაფია“.

მაშასადამე, ჩვენ მიმდინარე მომენტის აწინდელ მონაკვეთზე განვიხილავთ მოქალაქე გეოს სოციალურ წარმოშობას.

— მოითმინეთ.—გააწყვეტინა პროფესორმა. გორგომიჭელა წამით შესდგა.

— თქვენ, ეტყობა ვერ გაიგეთ... განმიმარტეთ გეოგრაფია. გორგომიჭელა, ის ის იყო, დაბნევის აპირებდა, მაგრამ გაახსენდა,

და, რომ „გამბედაობის მეთოდი“ აქ აუცილებელი იყო და კვლავ სხაპასუხობით განაგრძო:

— გეო, რომლის გვარიც ჩვენ არ ვიცი, წოდებით ყოფილა გრაფი, მაშასადამე, იგი თავის სოციალური წარმოშობით უცხო და მიუღებელი ელემენტია, რადგან ჩვენს ქვეყანაში გრაფები და თავადები სხვა კაპიტალისტურ ელემენტებთან ერთად მოსპობილი გვყავს როგორც კლასი. მაშასადამე, გეოგრაფია, როგორც მცნება..

გამომცდელს ჯერ გაჯაფრება ეტყობოდა სახეზე, შემდეგ სარკასტული გამომეტყველება მიიღო და რალაც ორაზროვანი ღიმილით შეეკითხა:

— რას იტყვი გეომეტრიის შესახებ?—ხომ იცით გეომეტრია? გორგომიჭელა კვლავ დაბნევის აპირებდა, მაგრამ აქაც „იმხნევა“.

— გეომეტრია, ესეც ორი სიტყვისაგან შეისდგება—და გვასწავლის იმავე გეოს სიმძლეს. როგორც სჩანს, მოქალაქე გეოს ერთი მეტრის სიმაღლე ჰქონია, თუ შევადარებთ ამ მოვლენას, როგორც მცნებას, უნდა ითქვას, რომ მაინც და მაინც დიდი ახოვანი ვინმე არ ყოფილა ეს გეო. მაშასადამე ვინცხა ლილიპუტი ყოფილა.


ირონია უფრო გაძლიერდა გამომცდელის სახეზე.

— გეოდების შესახებ თუ იტყვი რამეს?

— ეს სულ ადვილი საქმეა, იგივე ორ სიტყვასთან გვაქვს საქმე: მოქალაქე გეოს ან დეზები აქვს, და თუ ეს ასეა, სამხედრო პირი ყოფილა. ან მას შერქმეული აქვს ზედმეტი სახელი „დეზი“.

— ახლა გამომცდელის გამომეტყველება პირდაპირ გამანადგურებელ სარკაზმად გადაიქცა.

— შეიძლება გეოლოგიის შესახებაც სთქვათ რამე.



მანას ღაიწუნა

(მარის პარკში)

— ძალიან მიყვარხარ მეგობარო, მაგრამ მაგ წუმბეში მაინც ვერ ჩამოგყვები.

— რის შესახებ?—კვლავ განგებ შეეკითხა გორგომიჭელა.
 — გეოლოგიის შესახებ.—ხომ იცით გეოლოგია?
 — მაგას რა ცოდნა უნდა, როცა საკითხი იმავე გეოს შეეხება?
 მარა ერთი კი უნდა ითქვას, რომ ნამეტან დიდ პირათ ყოფილა მიჩნეული უნივერსიტეტში ეს ვინცხა გეო! რომ მისი სახელი ასე ერცლათაა შეტანილი საგამოცდო პროგრამაში.
 გორგომიჭელა ამ სიტყვებსაც გარკვეული მიზნით ამბობდა, ამით მას სურდა დრო მოეგო და რაიმე სათქმელი გამოენახა, მაგრამ მაინც არ იცოდა რა ეთქვა:
 — ეს შეჩვენებული „გეო“ რომ გეოა ქე მესმის, მარა ეს „ლოგია“ რალა ჯანდაბა, ვერ გევიგე,—ფიქრობდა ის.
 მაინც რას იტყვიო?—გააწყვეტინა გამომცდელმა.
 — რას ვიტყვი და იმას ვიტყვი, რომე... იმას რომე... რა ქვია... საკითხი იმავე გეოს უტრიალებს, მარა რამდენათაც ჩანს, პროგრამაში კორექტურული შეცდომა უნდა იყოს: ალბათ „კ“-ს მაგიერ „გ“ ჩაუწერიათ. ესე იგი უნდა იყოს „გეოლოკია“—მაშასადამე ისევე ორ სიტყვასთან გვაქვს საქმე: გეო და „ლოკია“ ესე იგი გეოს აქაც მეორე სახელი ქონია: ან საინის ლოკია ყოფილა, ესე იგი საინის ტლეკვა ყვარებია, ან უფრო სწორათ რომ ვსთქვათ—„მოლოკილი“ ქვიებია ვითამ პატარაო.
 — როგორ პატარა?
 — ლილიპუტი ყოფილა.
 — ლილიპუტი კი არა, მოლეკულა!—გაბრაზებით უთხრა გამომცდელმა პროფესორმა,—და მაგიდას მჯილი დაჰკრა.
 ე, ბიჭო, დევილუბე, ყველაფერი ისე კარგათ ვთქვი, რომ პრო-

ფესორს სახეზე ღიმილი აუთამაშე, მარა ახლა კი ჩავეარდი! რავა ვერ მივხვდი, რომ მოლეკულე ყოფილა, ლეკური სკოდნია იმ ვინცხა გეოს.—გაივლო გულში და კვლავ ნაძალადეად გამხნევედა.
 — რა თქმა უნდა, პატარა ტანის ადამიანს, რადგან ის უფრო მხატვა. სიმკვირცხლე მეტი აქვს და ლეკური უეჭველია, სხვებზე უფრო მეტათ ემარჯვება. ისე, რომ საბოლოო ჯამში თუ ავიღებთ აქ მოხსენებულ ოთხივე გეოს, ესე იგი: „გეოგრაფიას“ „გეომეტრიას“ „გეოდეზიას“ და „გეოლოგიას“ ყველა კაი მოლეკულე იქნება მაშასადამე დამატებით ჩვენ საქმე გვაქვს პლასტიკა-ხორეოგრაფიასთანაც.
 მაგრამ გორგომიჭელას სიტყვა არც კი ჰქონდა დამთავრებული, რომ მის თვალწინ უცნაური ამბავი მოხდა: უცბად დარბაზში დადგმული დაფიდან გადმოვიდა ჩიკორა ტანის ოთხი კაცი—„ოთხი გეო“. ოთხივემ ცეკვით წრე შემოავლო გორგომიჭელას, აიყოლეს, ააცეკვეს იგი.
 — სწორეთ, სწორეთ, დამახინჯება არ იყოს,—ყურში მკაცრად ჩასძახა გამომცდელმა პროფესორმა გორგომიჭელას.
 ამ მკაცრმა ხმამ შეაკრთო. გორგომიჭელას გამოეღვიძა. მან საბანზე რალაც სიმძიმე იგრძნო. დახედა და იცნო გეოგრაფიის, გეომეტრიის, გეოდეზიის და გეოლოგიის სახელმძღვანელო წიგნები. ფაციფუციით ადგა, სწრაფად ჩაირბინა სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის კიბეებზე. გამოცდაზე მიეშურებოდა.
 „ოთხ გეოში“ გორგომიჭელამ ხუთი მიიღო.

ზარსაღანი.

ინტელიგა



„ამიკლეს, მომსპეს, ნერვები მომიდუნეს. მომეშველეთ, რედაქცია ხართ! ეს საქმე, ნაცნობებიც რომ არ იყოთ, მაინც თქვენ გეხებათ. მოდით, გამოარკვიეთ, დაწერეთ!“

ასე გვწერდა სოფ. ნაკვალევის თემის კულტმუშაკი და მთავარი რეჟისორი სარდიონ ფაცხი.

და ჩემს და მხატვარ ი-ს ჩასვლისთანავე სოფ. ნაკვალევი, სარდიონს ჯერ „გამარჯვებაც“ არ ეთქვა, რომ ასეთი ზეპირი არხით შემოგვევება:

— ამიკლეს! მომსპეს! ნერვები მომიდუნეს! მიშველეთ! რედაქცია ხართ!

სარდიონის „აკლებ-მოსპობის“—შინაარსი გამოვარკვიეთ:

სოფლის კომკავშირელები მოსვენებას არ აძლევდნენ თურმე სარდიონს: მის რეჟისორულ საქმეებში ერეოდნენ. კაცს, რომელმაც „ოტელო“ დადგა, დადგმებს უწუნებდნენ. შემოქმედებითი გზა არ გივარგაო, ეუბნებოდნენ. ერთის სიტყვით ინტრიგას უწყობდნენ.

— ინტრიგის მამამთავარი მარგალიტა ღონღაძეა.—სთქვა სარდიონმა.—საშუალო სკოლა გაათავა და ცოდნას ჩემულობს. ისღა დამრჩენია, რომ სოფლის გოგო-ბიჭებმა მასწავლონ, მაკრიტიკონ და ჩემს თეატრალურ კულტურას შეურაცხყოფა მიაყენონ.

ჩვენ არ მოგვეწონა სარდიონის მიერ აღწერილი მდგომარეობა და დავპირდით, რომ ამ საქმეს, ისე უბრალოდ არ ჩავატარებდით. დაწერდით და სხვა სოფლების ახალგაზრდობასაც მაგალითს მიეცემდით, თუ როგორ არ უნდა მოეპყრან სოფლის კულტურულ ძალებს. რომ კადრებთან ადამიანური დამოკიდებულება არის საჭირო და სხვ.

ვინაიდან ზემოაღწერილ მდგომარეობის გამორკვევა მანამდე შეუძლებელი იყო, ვიდრე პარტკომის მდივანი, თითონ მარგალიტა ღონღაძე და სხვა კომკავშირელები მინდვრის სამუშაოებიდან არ დაბრუნდებოდნენ მე და მხატვარმა ი-მ ვადავწყვიტეთ, სოფელი დაგვეთვალეიერებინა, ბუნებას ვწვეოდით, დაგვესვენა და საღამოს დაგბრუნებულყავით სარდიონთან.

* * *

ოცი წუთის შემდეგ ერთ ბექობზე ვისხედით მე და მხატვარი ი. ჩემი თანამივლინებული ბუნების სიტკბობებს განიცდიდა პოეტურ აღტყინებაში მყოფი პეიზაჟს ხატავდა.

— რად გინდა ამ პეიზაჟს რომ ხატავ, რა მნიშვნელობა აქვს ცალკე, თავისთავად?—შევეკითხე ი-ს.

— დავბეჭდავ რომელიმე გაზეთში, უარი რომელ ნახატზე უთქვიათ ჩემთვის, რომ ამაზე მითხრან?!—გაიკვირვა ი-მ.

— ცარიელი პეიზაჟი, ცოცხალ ადამიანებისაგან, შრომისაგან, ხალხისაგან დაშორებული ვის რად უნდა!—შევეკამათე.

— გამოსავალი ძნელი მოსანახი არ არის,—თქვა ი-მ,—ქვეშ მოვუწერ, რომ აქ რომელიმე ცნობილი პოეტი ისვენებდა ამაღამ წელს და გათავდა, სურათის გამსამართლებელი საბუთი მოძებნილია!

ი-ს უფრო ადვილი გამოსავალი ვუჩვენე და იმავე წუთს, სერს გადაღმა მომუშავე კოლმეურნეებს მივადექით.

ბრიგადირმა ერთერთი ქალიშვილი გამოჰყო ჩვენს დასახმარებლად. ი-მ მთის მხარეს დააყენა ეს ქალიშვილი, ხელში ფოცხი მისცა და ნატურიდან ხატვა დაიწყო. ქალიშვილის კონტური შემოხაზა, ფონზე პეიზაჟი დაუხატა და მომუშავე ფიგურის დაზუსტება დაიწყო.

ხატავდა, მაგრამ არაფერი გამოდიოდა: ვერაფრით ვერ დაამგვანა ნახატი ცოცხალს. ერთხელ დახატა, წაშალა, მეორედ დახატა—სულ დახია. და მისაყვედურა:

— სულ შენი ბრალია, შენ დამთარსე: რატომ წამომიყვანე, არ იცოდი რომ მუზა გამიფრთხებოდა?

მე განვემარტე, რომ სიღინჯვა საჭირო და ახლად შეუღვა ხატვას.

მთელ საათს იწვალა და მაინც არაფერი გამოვიდა.

დაიღალა ჩვენი ნატურა, ორ საათს იღვა ფეხზე, ფოცხით ხელში ერთ ადგილს და მოთმინება რომ აღარ ეყო, მოვიდა ახლოს: წაიყვანა მხატვარი ი. თავის ადგილზე დააყენა. ხელში ფოცხი მისცა, ქალღი და სამხატვრო ხელსაწყოები გამოართვა და ხატვას შეუდგა.

მხატვარი ი. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან თავდაბალა, მაინც ვერ აიტანდა ამ „შეურაცხყოფას“ მაგრამ ინტერესმა და ქალიშვილის არშეურაცხყოფის სურვილმა გააჩერა.

ოც წუთში უკვე მზად იყო სურათი. ქალიშვილს ი-ს ფიგურა გამოეყენებინა და თავის თავი ისე კარგად დაეხატა ფოცხით ხელში, რომ ი-ს განცვიფრებისაგან, კინაღამ ვალერიანის წვეთები დასჭირდა.

— აქ, ღრუბლებთან, რომ გადასვლა, ორნაირი ბაღით უნდა გაკეთდეს.—ამბობდა ქალიშვილი—ნახევარი მსხვილი ბაღე იქნება, ნახევარი—წვერილი. ჩემი ფიგურა შტრიხ-ბაღე უნდა იყოს აუცილებლად. სამზე უნდა გაუშვან, ორ სვეტზე თუ დააპატარავს გაფუჭდება!

სირცხვილისაგან ღონემიხდილი ი. ხელით მეჭირა. ბოლოს, როგორც იყო გამოერკვა ჩემი თანამოვლენილი, ქალიშვილს სურათი გამოართვა, კარგად დაათვალიერა და შეკამათება მოიწადინა.

— გამაკრიტიკეთ,—თქვა ქალიშვილმა,—მე არ მეწყინება, თუკი სურათში შეუსაბამი რამ არის, ახლავე გადავაკეთებ. მე ზოგიერთსავით დიდი წარმოდგენის არა ვარ ჩემს თავზე. ერთ რეჟისორს, მაგალითად, უთხრეს, რომ ოტელოსათვის, წელზე, ვითომდა სიძლიერის გამოსახატავად, ტყვიამფრქვევი არ უნდა ჩამოეკიდნა. რომ ოტელოს დროს ტყვიამფრქვევი ჯერ არ იყო გამოგონილი, და ამას გარდა ამხელა იარაღი მსახიობს ხელს უშლიდა მოძრაობაში. რეჟისორი გაბრაზდა ასეთი შეკამათების გამო. იჩივლა და ამ მოქმედებას ინტრიგა დაარქვა. მე ასე არა ვარ. გამაკრიტიკეთ და ნაკლს სიამოვნებით გამოვასწორებ.

ი-მ ვერაფრითარც ნაკლი ვერ აღმოაჩინა ნახატში და გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ერთმა გარემოებამ იხსნა.

შორიხლოს გამოჩნდა ლამაზად თიშბადავარცხნილი მამაკაცი, რომელიც ადვილად ვიცანით, რომ სარდიონი იყო. სარდიონმა ამ ქალიშვილთან მდგომი რომ დაგვინახა, გაჩერდა და შორიდან დაგვიწყო პატიჟი—„წამოდიოთ“.

ჩვენ წამოსვლა დავაპირეთ და ქალიშვილმა გამომშვიდობების წინ გვითხრა:

— ბოდიში, მგონია შეურაცხოვაც კი მოგაყენეთ, მაგრამ მაინც უნდა ვიცნობდეთ ერთმანეთს. მე მარგალიტა ღონღაძე ვარ, კოლმეურნეობის წევრი, კომკავშირელი.

* * *

საღამოს სარდიონის სახლში, სუფრასთან ვისხედით მე, მხატვარი ი. კოლმეურნეობის თავმჯდომარე, პარტკომის მდივანი, მარგალიტა ღონღაძე, კიდევ ორი სხვა და მოხარულ ქათმებსა და თეთრ ღვინოს შევექცეოდით.

მთელი სამი საათი დავგჭირდა სარდიონისათვის დასამტკიცებლად, რომ ოტელოს დროს ტყვიამფრქვევი გამოგონილი არ იყო და რომ მარგალიტა მართალი იყო სარდიონთან კამათში.

და როცა ისიც დაეძინეთ, რომ თეატრთან აუცილებელი იყო კოლეგიის ჩამოყალიბება და ამ კოლეგიაში მარგალიტას შეყვანაც, სარდიონმა, თითქოს გვაყვედრისო, ღიმილით, მაგრამ გესლიანი ტონით თქვა:

— რას იზამთ, რაც დრო გადის ყველაფერი იცვლება. გუშინ მაგალითად ასი ფრთა ქათამი მყავდა, დღეს კი—ოთხმოცდათვრამეტიღა დამრჩა.

გ. ივანიშვილი.

ასი უჩველი ღაპიროსა, მაინც იფხვის თავისასა



ფიფინო ბალანსელის სამუშაო ოთახი. ფიფინო ჩოთქე ანგარიშობს. შემოდის მის ცოლი პოპოსა.

პოპოსა—ადამიანო კიდევ არ წასულხარ? ფიფინო—სად უნდა წავიდე ქალო?

პოპოსა—სად და სკოლაში! ფიფინო—სკოლა დიდხანია რაც დავამთავრე.

პოპოსა—შენ დაამთავრე. მაგრამ შენ შეილს, რომ არ ამთავრებინებენ?

ფიფინო—ვინ არ ამთავრებინებს, რას ლაპარაკობ?

პოპოსა—რას გლაპარაკობ და ბავშვი ათვალისწინებული ჰყავთ სკოლაში.

ფიფინო—გეჩვენება. პოპოსა—იქნება ესეც მოჩვენება იყოს?

(გაუწოდებს ბარათს). ფიფინო—რა არის ეგ?

პოპოსა—მშობლებს გვიბარებენ. ფიფინო—რას იწერებიან?

პოპოსა—ხულიგნობსო. ჰმ! თქვენი შვილი ხულიგნობსო. ეს არის თუ არა ბავშვის ათვალისწინება?

ფიფინო—შეიძლება მართლა ხულიგნობს, რა არის აქ გასაოცარი?

პოპოსა—რას ამბობ ფიფინო, ხომ არ გაგიჟდი, მაგას ჩემ სიცოცხლეში არ დავიჯერებ.

ფიფინო—მე ნახევარჯერ შინ ვარ. შენ დედა ხარ, შენი მორიდება უნდა ჰქონდეს. რატომ არაფერს ეუბნები, როდესაც რასმეს აშავებს?

პოპოსა—მოკლა ბავშვი? ფიფინო—გათამამებული გეყავს გათამამებული და ალბად სკოლაშიც არავის ეუბება. იქაც ისევე თავხედობს. როგორც აქ, შინ.

პოპოსა—ჩემი კოჭკოჭია და თავხედობა? ამას ვინ დამაჯერებს. ვიცი უგონებენ, რადგან შურთ ჩემი ბიჭი რომ ფრიადოსანია.

ფიფინო—რომელ საგანში აქვს ფრიალი აბა ერთი დამისახლე?

პოპოსა—ეყოლება ფრიალი, რომ მასწავლებლებს მისი კერძო ინტერესები არ ჰქონდეთ.

ფიფინო—არავის შენი კოჭკოჭიას ინტერესი არა აქვს და არც არავის ათვალისწინებული არა ყავს. გათამამებული გყავს ბავშვი უმცროს-უმფროსი არ იცის. ქუჩაში ალამებს და ათენებს. ესლა წადი და შენ გაეცი პასუხი პედსაბჭოს.

პოპოსა—არა ფიფინო. არა, ნუ გჯერა შენ ეგ ამბავი. სკოლაში ათასი ბავშვია რალა ჩვენი ეშმაკობს.

1. მეზობელი—ფიფინო—და პოპოსა! ავერ ხართ დედაცა და მამაც. კარგი მეზობლობა გვაქვს ერთმანეთში და ნუ ინდომებთ დანასისხლად გადავეკიდოთ ერთმანეთს.

ორივენი—რაშია ვენედიქტე საქმე?

1. მეზობ. —ვაყო ბავშვი ვის არ ყოლია. ერთი კი არა შვილი მყავს მარა თუ ვინახავთ ვინმე ჩემ ბავშვებზე მომჩივანი?

ორივენი—რა მოხდა გვითხარი?

1. მეზობ. —ამ ერთი თითის სივრძე ბავშვმა როგორ უნდა ააფორიაქის მთელი ეზო!

პოპოსა—ალარ გვეტყვი რა მოხდა შენ მამაცხონებულო?

1 მეზობ. —ერთი მამალი მყავდა თქვენც იცით.

ორივენი—მერე?

1 მეზობ. —მერე და ამ თქვენს ბავშვს დაუჭირავს ცოცხლად გაუპუტავს.

პოპოსა—აჰ! ჩემი ბავშვი როგორ იზამდა!

1 მეზობ. —ე, ყმაწვილო ავერ დადის გაპუტული მამალი ეჭვ როგორ აბუზულა. რალა უყო ახლა მაგას?

ფიფინო—შე კაცო მადლობის მაგივრად უსაყვედურებ ჩვენს ბავშვს?

1 მეზობ. —რას ამბობ კაცო?

ფიფინო—ხომ უნდა დაგეკლა და გაგებუტა ახლა მაგას დაკლის და შეწვის მეტი აღარაფერი უნდა (იციანის) არაფერია ვენედიქტე საყვედურს გამოუცხადებთ ბავშვს.

პოპოსა—უკანასკნელი გაფრთხილებით.

(1 მეზობელი ხელს ჩაიქნევს და გადის).

ფიფინო—(პოპოსას) ესეც შენი აღზრდილი შვილი. პირზე დედის რძე არ შემორობია და მამალს ჰპუტავს ცოცხლად, რომ გაიზრდება კაცს გაპუტავს. (გასძახებს) კოჭკოჭია!

ხმა—რა გინდა მამილო?

ფიფინო—ჩქარა აქ მოდი!

ხმა—არ მცალიან მამილო ვთამაშობ.

ფიფინო—მოდი მეეთქი!

(შემოდის).

კოჭკოჭია—რა გული გააწყალე, რა გინდა?

ფიფინო—რატომ გაპუტე მამალი?

კოჭკოჭია—მამალს დაცხა და შემეცოდა.

პოპოსა—(კისკისეებს) რა ენა აქვს, რა გამოვა ჩემი ბიჭი დედა ენაცვალს. მამალს დაცხაო ხა! ხა! ხა!... მოდი ჩემო გვრიტო, მოდი ჩემო სიცოცხლე, მამალი გაპუტე შვილო?

კოჭკოჭია—ხო! (იციანის).

ფიფინო—(საანგარიშო ჩოთქს დაანარცხებს მაგიდაზე) შენ გარყვენი, შენ გაათავხედე ბავშვი. ადამიანის შვილი კი არა მხეცია, მხეცი!

კოჭკოჭია—მხეცის ხმა მესმის!

ფიფინო—როგორ ბედავ? ვის უბედავ?

რა ვარ მე შენი, მამა ვარ შენი თუ არა?

კოჭკოჭია—მამა არა ტოროლა.

ფიფინო—გაეთრიე! (ესერის საანგარიშო ჩოთქს. კოჭკოჭია მირბის) აი რა ქალბატონო! ნერვები დამაწყდა, შენ გაასულელე და მაგისაგან ერთი კარგი გვარიანი ხულიგანი გაგებრდება. დაჯექი და იხარე შემდეგ.

(კარებზე კაკუნს).

პოპოსა—(გაიპერტს საკლიტულში) მასწავლებელი!

ფიფინო—აჰ?

პოპოსა—ჩვენი ბავშვის მასწავლებელი!

ფიფინო—მობრძანდი და ახლა გაეცი პასუხი.

(კაკუნს შეორდება).

პოპოსა—კაცო რა ვქნათ?

ფიფინო—აქ მეზობლების საყვედურს ვერ აუღივართ და ახლა მასწავლებლებმაც სახლში იწყეს სიარული.

(კარი იღება—შემოდის მასწავლებელი) მობრძანდი!

მასწავლებელი—აქა მშვიდობა!

პოპოსა—დაბრძანდი (სკოლაში გადის).

მასწავლებელი—მე დრო ცოტა მაქვს პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ.

ფიფინო—თქვენი ხმალი და ჩემი კისერი. მასწავლებელი—თუ არ ვსცდები თქვენ მშობლები უნდა ბრძანდებოდეთ.

ორივენი—დიახ! დიახ!

მასწავლებელი—მამ მისმინეთ მე თქვენი შვილის მასწავლებელი ვარ.

ორივენი—მოხარული ვართ. დიდათ მოხარული ვართ!

მასწავლებელი—ჩვენი თხოვნა — მასწავლებლების, დაგვემართო. მშობლებმა თქვენი შვილების აღზრდაში.

ორივენი—რით შეგვიძლია გვემსახუროთ?

მასწავლებელი—ყველაზე დიდი სამსახურის გაწევა ის იქნება მშობლების მიერ, თუ ისინი თავიანთ ბავშვებს არ გაანებიერებენ, აი მაგალითათ თქვენი ბავშვი ძალზე ჯიუტია; დარიგება არ ესმის, ამხანაგებს ეჩხუბება, გაკვეთილზე ცელქობს, მასწავლებლის რიდი და მორიდება არა აქვს. ეს იმის მაუწყებელია რომ ბავშვი შინ ძალიან გათამამებული გყავთ.

ფიფინო—ბოდიში, შეგაწყვეტინებთ. უნდა მოგახსენოთ რომ ბავშვს სახლში ჩინებულად უჭირავს თავი.

მასწავლებელი—მამ სკოლა ყოფილა დამნაშავე. როგორც სჩანს?

ფიფინო—გთხოვთ ყოველგვარ ირონიის გარეშე!... ჰო იმას მოგახსენებდით ბავშვი მთელი დღეობით წიგნს ჩაპკირკიტებს, ჩვენ გვეშინია მეტის მეტი მეტადინეობით ჭკუაზე არ გადასცდეს, ერთი ზედმეტი სიტყვა არ ამოვა მისი პირიდან. ყველასთან თავაზიანი და ზრდილობიანია. შემეძლია ამაში ჩვენი მეზობლებიც დავიმოწმოთ.

(შემოდის მეორე მეზობელი).

2. მეზობელი—ხალხო! მეზობლებო რას მერჩით რა გინდათ მაინცა და მაინც სასაჩართლოში უნდა მაჩივლებინო? ბავშვს ან გაუწყურით ან დაარიგეთ გუშინ ფანჯარა ჩამიმტვრია, ახლა კატა დაუჭერია და კული მოუხერხავს. ბავშვი მინახავს მაგრამ მაგისთანა უტიფარი არა.

მასწავლებელი—(წამოდება და წასვლას დააპირებს).

ფიფინო—მოითმინეთ!

მასწავლებელი—მეტი აღარაფერი დამრჩენია სათქმელი.

ფიფინო—მამ თქვენის აზრით ჩემი შვილი ძნელად გამოსასწორებელი ბავშვი იზრდება.


მასწავლებელი—არა, თქვენი შვილი არ არის ძნელად გამოსასწორებელი და საერთოთ ჩვენს ქვეყანაში ისეთი ბავშვები არ იზადებიან, რომ ძნელი იყოს მათი აღზრდა. მაგრამ არიან ისეთი ჯიუტი და უტეხი მშობლები რომლებზედაც შეიძლება მხოლოდ ასეთი ანდაზა ითქვას: „ასი ურტყვი დავითასა, მაინც იტყვის თავისასაო“ აი ვისი გამოსწორება და აღზრდაა ძნელი.



ქართველი
ბიზლირთქანი



1 კაცი ქონით იბრძობოდა,
სისქე ჰქონდა სათაქილო,
ასწონეს და გამოვიდა...
„ზუსტად“ რაღაც 20 კილო.




2 — სთქვა: „სასწორმა მომატყუა“...
არ გასულა ხუთი წამი,—
კვლავ ასწონეს: გამოვიდა
ცხრა კილო და შვიდი გრამი.




3 კვლავ სხვა სასწორს მიაშურა...
შიშით ძლივსა ჩამოვიდა,
რადგან იგი ორას ერთი
კილოგრამი გამოვიდა.



4 კვლავ მონახა სხვა სასწორი...
დაეკარგა ჭკუა ლამის,—
ბაყბაყ მდევად თავს სთვლიდა და
გამოვიდა ხუთი გრამი.



5 მეხუთედ რომ აიწონა
სხვა სასწორზე იმავ დღესა
ასი კილო გამოვიდა
„მისხალი არ დააკლდესა“.



6 გულმა აღარ მოუთმინა,
კვლავ შეეჩესეთ აიწონა,
გამოვიდა, ჰოი, ბედო!...
მთელი კაცი ერთი ტონა.

7 კვლავ ასწონეს... მაგრამ კმარა
აღარ გვინდა მეტი ბჭობა,
ჯანსაზღვრო, შენც ასწონე
სასწორების მუშაობა.



აგერაქზე

— ჩვენს დასასვენებელ სახლში საიდან მოხვდი?
 — ვილაც ანიკომ საგზური ნანიკოს მიჰყიდა, ნანიკომ ნინიკოს მიჰყიდა, ნინიკომ თინიკოს, თინიკომ ილიკოს, ილიკომ გავიკოს, გავიკომ ტიტკოს და ტიტკოსაგან ილიკომ შეიძინა ჩემს გამოსაგზავნად.

ნამდვილი სპორტსმენი

ტროლეიბუსის გასაჩერებელ ადგილთან რამოდენიმე მოქალაქე იდგოდა.

- ეს კაცი იცი ვინ არის? — შეეკითხა ერთი ამხანაგი მეორეს.
- არ ვიცი.
- ეს კაცი ნამდვილი სპორტსმენია.
- არ ეტყობა.
- გეუბნები ნამდვილი სპორტსმენია.
- ფეხბურთს თამაშობს?
- არა.
- ცურავს?
- არა.
- მეთხილამურია?
- არა.
- კალათბურთს თამაშობს?
- არა.
- ხტუნავს?
- არა.

— ფრენბურთს თამაშობს?

— არა.

— ჭიდაობს?

— არა.

— განთქმული მოკრივეა?

— არა.

— პარაშუტისტია?

— არა. ეგ ყველაფერი მიქარვია.

ამ დროს მოქალაქემ, რომელზედაც ორი ამხანაგი ლაპარაკობდა მიაშურა ავტობუსისაკენ, რომელმაც მგზავრებით დატვირთულმა თავის გასაჩერებელ ადგილს ისე გამოუქროლა, თითქოს ეს უკანასკნელი არც კი არსებობდა.

— გეუბნები სპორტსმენია. ნამდვილი სპორტსმენია. ვერა ხედავ ყოველთვის ავტობუსით მოგზაურობს. მაგისტანა სპორტსმენს თბილისში კი არა მთელ რესპუბლიკაში ვერსად იშოვის...

სიკიბო.



როცა სიმღერა
ქვითინს ვაგონებს
რა გემღერება
ამ წამში ბედო,
ხალხი აწყდება
მომდგარ ვაგონებს
კონდუქტორი კი
სკექს: „მესტა ნეტო“.

ირის ბაქნებზე
შეხლა-შემოხლა...
კარს მიახალა
ელპიტემ წარბი
პასიკოს ქული,
პასიკოს „შლაპა“
მოდერა პატრონს ლა
ცისაკენ ვარბის.

მე ისევ დავრჩი...
მესამე დღეა...
მე კვლავ ჩამოვრჩი
„კურდღელთა“ გროვას
და ვინუგეშებ
თავს ვაწბილებულს:—
„მატარებელი
აქ კიდევ მოვა“...

ეპ... მოვა, მაგრამ
რა აიკიდებს

ამდენნით მოცდილო
მგზავრთა მიღებებს?!
მთელი კვირაა
რაც სალაროდან
ალარ ჰყიდიან
მგზავრო, ბილეთებს!

ალარ ჰყიდიან...
მინც რიგია...
სარკმელთან ახლოს
ვინ წაგაკარებს?!
ეს „არ გაყიდვა“
ეხება სარკმელს
და არ ეხება
უკანა კარებს!

აქ „ნაჩაღნიკის“
სახელის ხსოვნას
ყველა პატივსცემს
სულ ფეხზე დგომით,
რადგან ბაქანზე
მგზავრებისათვის
არ არის სკამი
ჩამოსაჯდომი.

მის „სადიდებლად“
ეს „ქების“ სიტყვაც
მიტომ წარმოვსთქვი,
მიტომ გავწირე,

რომ მისმა გოგრამ
ვერ გაიმეტა
მგზავრთათვის წყვილი
ხეების დირე.

... თუმც ამ სადგურის
მომსახურება
ერთობ ძნელი და
ძეტად რთულია,
რადგან ბაქანი
ამა სადგურის
„სტუმრებით“ მუდამ
დატვირთულია.

სადგური ესე
საპაემანო
აღვილად თურმე
მიჩნეულია
მიტომ ამ ადგილს
ერთმანეთს ხვდება
გოჭი, ქათამი
ფისო, მურია.

ერთმანეთს ხვდება
აქ ვანო ქეთოს
ერთმანეთს ხვდება
აქ მიტო ნატოს
და სადგურიდან
მდინარის ნაპირს
მიჯნურთა წყვილი
მიჰყვება მარტო.

მათ „საქმეს“
ერთი მუყატონტელს
ვისი „შექება“
მინდა, მწყურია,
ეს ხელშემწყობი
და „მიჯნურთ მხსნელი“
ხარაგოლის
ელსადგურია.

„როდესაც იგი
„გადმონათებს“
და მუქს „დაითვის“
კორდზე და მთაზე
რამე იწყება
მაშინ ამ დიბის...
„შშვენებაა
და სილამაზე“.

მოდის გუგუნით
მატარებელი...
მე მის კიბეებს
მინდა ვეკეთო!
ხალხი აწყდება
მომდგარ ვაგონებს,
კონდუქტორი კი
სკექს: „მესტა ნეტო.“

ერთი მკავალთაგანი

ორშაბათ დილა გათენდა

(ო ნ ი)

- რა არის სახალინი?
- სახარინი აზის ისეთი ნივთიერება, რომელსაც მენშევიკები ხმარობდნენ შაქრის მაგიერ.
- სახარინი კი არა სახალინი:—კუნძული.
- ჰოო! მე სახარინი მომესმა.
- რა და რა კუნძულები ვიცით. ჩამოთვალე?
- ბალკანეთის ნახევარ კუნძული. შვეიცარია...
- ქვეყნის რომელ მხარეს ეწოდება შვეიცარია?
- შვეიცარია ეწოდება ისეთ ქვეყანას, სადაც ცხოვრობენ მხოლოდ შვეიცრები.
- როდის დაიწყო მუშათა მოძრაობა ინგლისში?
- თამარ მეფის დროს...
- რა არის კლასი?
- კლასი არის ოთახი!
- დამისახელეთ ამერიკის საზღვრები?
- ამერიკაში არ ვყოფილვარ მასწავლებლო.
- რომელ მდინარის შესართავთანაა გაშენებული რიონჰესი?
- მდინარე ზაპესსა და ალაზან შორის.
- სად იმყოფება ბალესტინის ტბა?
- ფოთში ბატონო.
- რა არის პასკალის კანონი?
- ქვა რომ მაღლა ავაგდო ძირს დავარდებო.
- არქიმედის კანონი რას ეწოდება?
- არქიმედმა დაამტკიცა უპაერო სივრცეში ვოზდუხი არ არისო.
- უპალნამოჩენი როგორ იქნება ქართულად?
- უპალ... დაეცა... ნამოჩილ... დასველდა...
- როგორ იქნება რუსულად—სინდისიკ კარგი საქონელი.
- სოვესტ ტოვე ხაროშაია სკატინა.

ორშაბათ დილა გათენდა, რა კარგი დარი დგებაო, ვალიკო სითათაშვილი გადაკერის ხომზე დგებაო.

გულში იფიქრა, ბიჭი ვარ, ყველა პატივით მხვდებოო თავმჯდომარე ვარ საბჭოსი, საქმე არ მენაღვლებოო.

მიყვარს ქეიფი დუღუკზე, ქალებზე სული მძვრებაო, რასაც კბილს გაგვრავ ჩემია, რაც არა იკარგებაო.

ამჩქეფარებულ გრძნობებით ლურჯა ცხენს მოეველებაო, გადააქენებს მთაველებს, სოფელში შეიჭრებაო;

ჰეი. ბიჭებო, მიშველეთ წყურგილით ყელი ხმებაო, ჩაციებული ნუნუა ჩრდილოში მიაშებაო.

გადაჰკრა ჩააჰინჰილა, სახეზე ჟინჰილოდებოო, შუა-ღამე რომ შეიქნა ძლივს ფეხზე წამოდგებაო.

მეზობლის ქალსაც ეწვია კომპლიმენტებში დნებაო, თუ არ წამომყევ ცოლადა მე რაღა მეშველებოო.

ჩემი პირველი ცოლშვილი ყველა შენ გენაცვლებოო, გამდამდურული ეს გული სიყვარულს ელოდებოო.

ეს უთხრა იმ წამს ეძვერა ბრძოლა გმირული ხდებოო, ქალი არ შედრკა. მამაკაცს შეღებულ წვერში სწვდებოო.

ფეხს გადაუდებს, ვალიკო მიწაზე იშხლართებაო, მიბეგავს ლაზათიანად ზურგს ბოლი აღინდებოო.

გამწარებული ვალიკო ფანჯრიდან გადახტებაო, მთელი დღის ნაქეიფარი მთლიანად ჩამწარდებოო.

თავლაფდასმული ვაჟკაცი ჯაგებში იმალებაო ნიანგო, ასეთ რაინდებს ჩანგალი მოუხდებოო.



306 რიო...

— ჩვენ თქვენი ტოლი არ გვგონოთ! ჩვენ უმადლები სკოლის მოწაფეები ვართ.



ქრთ-ერთი რაიონის საკოლმეურნეო ბაზარზე საღამო ხანს ასეთი საუბარი იყო გამართული:

- რომ გელაპარაკები აიღე ჩქარა.
- რას ჩამაცივდი კაცო, ჩემს მეტი ვერავენ ნახე? სამათ-სამი კვირცხი დამრჩა და სანამ არ გავყიდი ვერ წავალ აქედან,—უპასუხებდა გლეხი ნესტორა.
- ბაზრობა ვათავდა, რამდენი ხანია, მატჩია ჩასატარებელი.
- მაჩი არ ვიცი მე! გეიხედე ეგერ, არავეინ არიო რომ იძახი. შეხედე, ვერ ხედავ ღვინოს რომ ყიდიან?
- ღვინოს? სად კაცო?
- ეე, შეხედე!—და ნესტორამ ფეხბურთის გუნდის კაპიტანს ხელი, საკოლმეურნეო ბაზრის კუნჭულისაკენ გაუშვირა.
- ჯერ-მანც ადრეა, ორი კაცი გვაკლია, ერთ ჭიქაზე ქე შეცდება კაცი.—სთქვა კაპიტანმა და ჭიქა ღვინით თავის გუნდს გამოჯვება უსურვა.
- უკვე საღამოს 7 საათი იყო.
- ფეხბურთელთა „მოწინააღმდეგე“ გუნდები თანდათან იკრიბებოდნენ მაგრამ მსაჯი არსად სჩანდა.
- კაპიტნები რომელია აქანა?
- ჰა, რა იყო ბიჭო?
- რომანოზამ შემოვიტვალა რომ მე დღეს მსაჯობა არ შემიძლია, ქორწილში მივდივარ და ჩემს მაგიერ კაცს გიგზავნიო...
- სადაა მერე კაცი?
- რაეა, ვერ მხედავთ?
- შენ ხარ? მერე წესები იცი?
- წესები? შე კაცო, სვისტოკის ჩაბერვას რა უნდა, რომანოზა სიძეა ჩემი... აბა დავიწყოთ...
- ბაზრის „სტადიონზე“ ფეხბურთის მოყვარულები თავს იყრიდნენ. ღვინოს გამყიდველები ერთერთი გოლის უკან განაგრძობდნენ ვაჭრობას.
- ორი კაცი გვაკლია...
- ვინ, კაცო?
- არ მახსოვს ვინ არიან. ვათამაშოდ სხვა ვინმე.
- მე მათამაშეთ ბიძია, მე, მათამაშეთ მაგრამ ტრუსიკს ნუ ჩამაცმევთ ამ მოხუც კაცს,—იხვეწებოდა ნესტორა...
- რას მახსობ კაცო, შენთვის გვცალია ახლა? ერმილე, ერმილე, გვიშველე, უნდა ითმაშო ჩქარა გეიხადე...
- კი მარა ბუცები რომ არა მაქვს?
- არ უშავს, გეცვას ეგ ჩუხტები... ერთი მოთამაშე კი ვიშოვნეთ, მაგრამ დანარჩენი?
- მსაჯი ვათამაშოთ—ერმილე.
- ერმილეს თამაშის ნება არ დართეს, მაგრამ სამაგიეროდ მასპინძლების ორი მოთამაშე ნასვამები გამოცხადდნენ მოედანზე.
- აბა მზადა ხართ?
- არა ვართ, მაგრამ მაგათ ცხრაკაცითაც გავუძლებთ,— აი-მედებდა თავისიანებს კაპიტანი, მაგრამ თან ავანსად ღელავდა.
- მსაჯის სასტვენის ხმაზე მოედანზე პირველად სტუმრები გამოვიდნენ. მათ მასპინძლებიც უკან მოჰყვნენ.
- გუნდები ერთმანეთს მიესალმენ:
- გოლისკარის გუნდის საპატივცემოდ ფიზკულტ...
- ურა!
- კორნერაულის გუნდს, ფიზკულტ...
- ურა...
- თამაში დაიწყო.
- აქეთ, მოგეპარა, აქა ვარ ბიჭო, წააქციე, კარობკა, პად-მიოშკა დაუდე, პასი, პასითქვა, ხაროში, ლეწე გოლში,—ისმონდა ფეხბურთელთა ლექსიკონიდან აზარტული შეძახილები და თამაში უფროდაუფრო მწვავე ხასიათს იღებდა.
- 3:0 გოლისკარის სასარგებლოდ.
- პენალტი, პენალტი, ხელზე მოხვდა...
- ტყუილია, არ მომხვედრია...
- სუდია, სუდია...
- პენალტი კი არა პენტელი ჰქვია,—გაუსწორა მსაჯმა კორნერაულის კაპიტანს და მსაჯმა ბურთი 11 მეტრიან საჯარიმო მოედანზე დასდო...
- სტუმრებს აგებინებ არ გრცხვენია?—ცხარობდა მასპინძელთა ერთერთი მოთამაშე...
- ლაპარაკი, ხმა არ გავიგონო,—ყვიროდა გაოფლიანებული მსაჯი:

— სასტვენის ხმაზე მაგრად დარტყმულმა მსაჯმა მსაჯობა გაკეთებული სარი მოგლიჯა და გოლის უკან ნესტორას ზედ თავზედ დაეცა.

- ვაიმე მომკლეს,—დაიღრიალა ნესტორმა და მიწაზე აიპლაკა...
- ის იყო მისაშველებლად მიცვივდნენ, რომ ნესტორა თავისით წამოხტა ფეხზე და მოედანზე შეიჭრა...
- რომელია აქანა ნაჩანიკი?
- მე ვარ!
- რომელი იყო ეს სარი რომ მდრუზა თავში?
- გაიქცა...
- რაეა იმას შეეშინდა ჩემი და შენ არ გეშინია? მე გიჩვენებ სეირს,—სთქვა ნესტორამ და მსაჯს სასტვენი პირიდან გამოგლიჯა.
- არ მოგცემ, მამა არ წამიწყდება არ მოგცემ, მიჩვილეთ სადაც გინდა.
- ბიძია ნესტორა შენი ჭირიმე...
- არა, ნუ მეხვეწებით, ეს სარი ფიზკულტურის თქვენი კომიტეტის თავმჯდომარეს უნდა დაცემოდა თავში კარგი იყო და მე რას მერჩოდით? რა უნდა ფუტბოლს ბაზარში?
- დიდი მუდარის შემდეგ ნესტორამ სასტვენი დასთმო, თამაში გრძელდებოდა. ის იყო გოლისკარელების მეკარე ბურთის ასაღებად მოემზადა რომ სტადიონზე კვლავ აღიაქოთი ატყდა.
- დაფეთებული ძროხა აქეთ-იქით დარბოდა:
- არ გოუშვათ...
- ილარიონ მოკიდე ხელი...
- ე, ბიჭო არ დეგეტაკოს.
- ძროხა სტუმრების გოლში ჩადგა და ადგილიდან არ იძროდა. შეშინებული მეკარე შტანგაზე ავიდა და იქედან ადევნებდა თვალყურს ძროხის დაქერას.
- ნახევარი საათის დევნის შემდეგ თამაში განახლდა, მეორე ტაიმი კვლავ გოლისკარელების უპირატესობით ჩატარდა და კორნერაულის კარებში სამი ბურთის გატანა კიდევ შესძლეს.
- მშრალი ანგარიშის თავიდან დასაღწევად წაგებულებმა იერიში გააძლიერეს. კართან შექმნილ კრიტიკული მომენტის დროს მოულოდნელად გაისმა არღნის ჭყრიალი:
- „ფუტბოლის მინდორს ვეძებდით, ვერ ვნახეთ, დაკარგულიყო, ბაზრის მოედანს ვკითხვავდით, შენ ხომ არა ხარ სულიკო?“
- ისმონდა მთვრლების სიმღერა. მეეტლემ ბრძანების თანახმად ეტლი „შტანგა“ ახდელ კარში გამოატარა და შიგ შეუაგულ მოედნისაკენ გასწია.
- მაგრამ „შუტმა“ გამოაფხიზლა მოქიფენი: არღნის ფასადი მთლად ჩაიღწა...
- ვის გოუბედეთ მაი! არღანი დამიმტვრით? აბა რაი ვყოფილვარ მე?—წამოიძახა ერთმა მთვრალთავანმა მივარდა გლესს, ხელიდან წალდი გამოსტაცა და ბურთს გამოუდგა:
- რას შერები, კაცო!
- არ დაარტყა...
- ამო იყო მუდარა...
- ითამაშეთ ახლა...—წამოიძახა მთვრალმა. წალდით ოთხად გაგლეჯილმა და წელეზადმოყრილმა ბურთმა სული განუტევა.
- მოედანზე „მოწინააღმდეგეთა“ ორთავე მხარის ხუთიოდე მოთამაშე დარჩენილიყო დაუსანიჩრებელი.
- აბხანიკებო! შეჯიბრება დამთავრებულია 6:0. გოლისკარელების სასარგებლოდ,—სთქვა ილაჯგაწყვეტილმა მსაჯმა...
- განვაგრძოთ თამაში.
- სწორი არ არის...
- საზამთროთი ხომ ვერ ვითამაშებთ?—ისმონდა ხმები.
- მსაჯი სახლისაკენ მიიპარებოდა. წაგებული გუნდის სამი მოთამაშე მსაჯს გასალახად უკან აედევნა.
- რა ჰქენი კაცო, ჩაატარე მატჩი?—ჰკითხა მსაჯს სახლში ცოლმა...
- რაეა, ვერ მხედავ ქალო? შემხედე კარგად!...
- სისხლიან თავპირის დანახვაზე ცოლი მიწაზე მეკარესავით გაიშოტა...

კ. ზოგიაშვილი.



სკოლის ეზოში

ანუ

ნორჩი მიმბაძველები

- არიქა, მიეშველე! ჩხუბი მოუვიდათ!
- არა, მეგობრული შეხვედრაა: ფეხბურთს თამაშობენ.

პილოტისაკრავი ამბები

წარმის ელოდებო... (ჩხარი)

ერთი წელია ნიანგო, დავდივართ განაწილები, არც დღე გვაძინებს, არც ღამე ჩვენ სარემონტო კბილები.

ჯანდაცვის განყოფილების გამგეს მივმართეთ საშველად.



მაგრამ მან პეტრე მკედელის გაზი მოგვართვა მაშველად.

თან გვითხრა:—სანამ ღრანქები მე თვით ამტკივდებო, მანამდე კბილის ექიმებს აქ ნურვინ ელოდებო.


წაქრი.

ახალ მეთოდით მკურნალობს

(სოფ. ვაგაზი, ყვარელის რ.)

ექიმბაში გვყავს თამარა ჩეკურიშვილი გვარადა, ხვეტავს და ხვეტავს ფულებსა. ხან მთაში და ხან ბარადა.

ჯანსაღი ბავშვის მორჩენა ბავშვის მშობლებსა ახარა.




— საზამთროს კაკლებს ხომ ხედავთ? ვფიცავ ამ ჩემსა ჭალარას—

სახიდან გამოვადგინე, ბავშვს არა უჭირს აღარა.— სთქვა თამარამ და კაკლები ხელიდან ფრთხილად დაჰყარა.

შუბი.

მიღწევა (თბილისი)

ჯიჯოვემა ჩამორჩენას ყურადღება მიაქცია და ტრამეისის სისწრაფეში რეკორდებსაც მიაღწია.



რვა თუ შვიდი გაჩერება გაიარა ისე სწრაფად არ გაჩერდა. თუმც ძილის დროს სად ახსოვდა ტრესტის გრაფა.

სევასტი

ვინც რა უნდა სთქვასო...

(მეორე სვრი, ბერიას სახ. კოლმ-ბა)

ვენაცვალე ამ ჩემს წისქვილს და მის კობტა ქვესო, მამაჩემმა დამარიგა ნუ უყურებ სხვასო.

მეც ვუჯერებ, ვერ შევარცხვენ კამალაძის გვარსო, ვინც ქრთამს მომცემს ეს წისქვილი იმას დაუფქვავსო.

კუნა.

გლენტა სახლში

(ღუშეთი)

გლენტა სახლში დავგინიშნეს გამგე „გამოცდილი“, მუდამ სახე მომღიმარი შატარივით ტკბილი.

გლენტა სახლის საწოლებზე საამოა ძილი, ბუმბული და ბალიშები ლეიბებიც რბილი.

ადილა და ზეწარი „სუფთად“ დარეცხილი სტუმრებს „ალარ აწუხებენ“ ბაღინჯო და რწყილი.

ვ. გემაური.


მასწავლებელი:—ვეტენ. მიბასუხე: რას გვაძლევს ძროხა?
 კეტენ:—ტყავს მასწავლებელი.
 მასწ.:—რა სარგებლობა მოაქვს ძროხის ტყავს?
 კეტენ:—ქურტებს იკერავენ მასწავლებელი...
 მასწ.:—სად?
 კეტენ:—გერმანიაში მასწავლებელი...
 მასწ.:—რაო? ვინ გასწავლა ეგ თეორია?
 კეტენ:—ჰიტლერის პრაქტიკამ მასწავლებელი...
 მასწ.:—გაბრძანდი გარეთ... შვინერ. მიბასუხე: კიდევ რას გვაძლევს ძროხა?
 შვინერ:—რძეს მასწავლებელი...
 მასწ.:—რას ვღებულობთ რძისაგან?
 შვინერ:—ზარბაზნის მასწავლებელი...
 მასწ.:—რაო ზარბაზნისო? მაშ კარაქს საიდან ვღებულობთ?
 შვინერ:—ნახშირისაგან მასწავლებელი...
 მასწ.:—მე გეკითხებით ნამდვილ კარაქს!
 შვინერ:—ნამდვილი კარაქი? არ ვიცი რა არის მასწავლებელი...
 მასწ.:—ნუთუ კარაქი არ გიჭამია?
 შვინერ:—თვალთაც არ მინახავს მასწავლებელი...
 მასწ.:—მაშ კარაქი არ იცი რა არის?
 შვინერ:—არა მასწავლებელი...
 მასწ.:—კარაქი არის ჩვენი მეცნიერების მიერ დამტკიცებული მავნებელი საჭმელი...
 ეხლა კი გაბრძანდი გარეთ... შულლერ, მიბასუხე: რას გვაძლევს ქათამი?
 შულლერ:—ყუმბარებს მასწავლებელი...
 მასწ.:—რაო? ყუმბარებთ?
 შულლერ:—დიახ მასწავლებელი!
 მასწ.:—(გაბრაზებული) ახსენი როგორ...
 შულლერ:—ყუმბარები ყუთებში იწყობა კვერცხების სახით და „საკვებად“ ეგზავნებათ გერმანიის ჯარს საზღვრებზე.
 მასწ.:—ვინ გასწავლათ ეგ თეორია?
 შულლერ:—ავსტრიის პრაქტიკამ მასწავლებელი...
 მასწ.:—რაო? ეს რა ამბავია? მე თქვენ სუყველას კონკლავგერებში ვაგვზავნით სასწავლებლად. დაიხოქე, დაიხოქე მეთქი...
 კილმან. მიბასუხე: რით ირჩენენ თავს მხეცები?
 კილმან:—მშვიდობიან ხალხზე ნადირობით, თავდასხმით ანუ აგრესიით...
 მასწ.:—ეხლა რომელ ულუფას უმიზნებს თავდასხმელი მხეცი?
 კილმან:—ჩენოსლოვაკიას...
 მასწ.:—რაო? ვინ გასწავლათ ეგ თეორია?
 კილმან:—მუსოლინის, ჰიტლერის და ჰენლაინის პრაქტიკამ...
 მასწ.:—ჩუმად. ეი, დარაჯო...
 დარაჯი:—რას მიბრძანებთ ჰერ!
 მასწ.:—ჩაჰყარეთ ეს არამზადები სარდაფში... ჩქარა. ჭკვიანო მილლერ, მიბასუხე: რამდენი ფეხი აქვს მგელს?
 მილლერ:—ოთხი მასწავლებელი...
 მასწ.:—რა თვისება აქვს მგელს?
 მილლერ:—თავდასხმა, სიხარბე, ვერაგობა, გაუმადლობა და სხვა ამგვარი...
 მასწ.:—დაჯექი... გუტ, გუტ...
 (გაკვეთილი მთავრდება. მასწავლებელი გადის).

კვანთილა.

ღუფუნაბის სიმღერა

(ხონი)

ნახ. ან. კანდელაკისა.



სოფსაბჭოს უკან წუმბეში
გროვდება წვიმის ღვარები,
„ახტალა“ გამოგვიწერეს
და ჩვენც აქ დავიარებით.
აბაზანების შემდეგ კი
სხეულს იქ ბაღში კასვირებთ,

თან კულტურულად ვერთობით,
თან ხალხს ვთხუზნით და ვასველებთ.
სოფსაბჭოს თავმჯდომარესა
კისერში ვენაცვალებით,
მადლობას ვუძღვებით რადგანაც
ვერ გვამჩნევს ლამაზ თვალებით.
კუპარაჩა.

განაგებს მარო ქალი

(ზეხტაფონი რაი-ჯანგანყოფილება)

ეროვნული
გიგლიოთეკა

რაიჯანგანყოფილებას
განაგებს მარო ქალია,
გარგასლიძეა გვარადა
საქმეზე განამწყრაღია

სოფლებში არც ერთ მედბუნქტში
არ მოგვცა წამლის ნასახი
თუ მიაკითხავ გიკვილებს:
რა არის აქო საძრახი?..

დღეს თუ არა გვაქვს ამ წელში
აღბათ ვიფიქრებ მაზეო
მოგაწვდით როცა იქნება
ნულარ დამჩხავით თავზეო.

თუ მედბუნქტებიც ინგრევა
რემონტი უნდა ჩქარიო,
მაზედ ვიფიქროთ ზამთარში
ეხლა კი სიცხე არიო.

ხელფასებს ჯერ ვერ მიიღებთ
სანამ შვიდი თვე გავაო,
ასე სჯობს თორემ ფულები
დაგეხარჯებათ, წავაო.

ასეთი არის ნიანგო
ეს ჩვენი მარო ქალია.
აწი თქვენ იცით ასეთ „სპეცს“
რა მოუხდება ძალიან.

ალაპიძე.

ჩვენნი ფოსტა

ონაპარს (ჩოხატაური) მოგვყავს ნაწყვეტი თქვენი თავგადა-
სავლიდან.

ერთხელ ქელეხში ვიყავი
ვიბურმარილე ალაპი
იმდენი ღვინო ჩავხრუბე,
ვერ მოვიხელე ნახაპი.

ამ ლექსის მიხედვით თქვენ ათეისტად გინდათ თქვენი თავი
წარმოგვიდგინოთ. სინამდვილეში ალაპისტ—ქელეხისტ—ნუნუსტ—
დათვერისტად უფრო გვეჩვენებთ, ვიდრე ათეისტად.
წამისიკაქლს (შორაპანი) იწერებით:

სოფლის გზა გვაქვს იმისთანა,
ზედ ეშმაკი ვერ გაივლის,
ყოველ წლოებით გვპირდებიან:
„გავაკეთებთ გაის, ივლისს“

ტელეფონის გასაყვანად
არ დავზოგეთ ძალი, ფული,
მოიტანეს სვეტები და
შევიძინეთ თან მავთული.

ვენაცვალე თავმჯდომარესს
მის უბადლო ზრუნვით, ალბად.

რაც მასალა შევიძინეთ
უპატრონოთ გზებში დაღბა!

თქვენი სოფსაბჭოს თავმჯდომარის გასაცრთხილებლად ჯერ
ეს ვიქმაროთ.

ვარლამს (ხონი) თქვენი მასალიდან მხოლოდ წინა ტაეპს ვა-
თავსებთ:

ნიანგოჯან. გენაცვალე,
მომითავსე ესა ლექსი
შემდეგში კი კალამს იქნებ
მოუღლებო ღინგი, ეშვი.

ხომ გაგიგონიათ, საქონელი პატრონს ემგვანებაო. „დრგინან
კალმით“ წერას თავი დაანებეთ, თორემ ამაზე უკეთესი ლექსი
არასოდეს არ გამოგივათ.

გოგოშრაქლს (ქუთაისი) აი საუკეთესო ადგილი თქვენი
ლექსიდან:

რაც რომ ვაკეთდეს ამ ქვეყნად
თუნდ საიდუმლო იქნების
უიჭველია გამხილებს
საცა როცა და ითქმების.

სიერთოდ თქვენი ლექსების აზრი ჩვენ ვერ გავიგეთ. თქვენი
აზრი გვაცნობეთ პროზით.

ს. ს. რ. ვ.



„ფიზკულტურის ოსტაზები“

ანუ

სამუშაოების „სორტი“ ხასანის ტახთან.